

სს საქართველოს ბანკის (შემდგომში - ბანკი) საბარათე ინსტრუმენტით

საბარათე ოპერაციის შესრულებისას თანხის კონვერტაციის სქემები

1. **საბარათე ინსტრუმენტი - ბანკის მიერ ემიტირებული საგადახდო ინსტრუმენტი - საკრედიტო ბარათი და სადებეტო ბარათი**, რომლის საშუალებით გადამხდელს შეუძლია განახორციელოს საბარათე ოპერაციის ინიცირება.
2. **საკრედიტო ბარათი - საბარათე ინსტრუმენტი**, რომელიც **ბანკთან** გაფორმებული ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, მის მფლობელს საშუალებას აძლევს **საბარათე ოპერაციები** განახორციელოს **ბანკის** მიერ მინიჭებული საკრედიტო ლიმიტის ფარგლებში, გარდა ოვერდრაფტისა.
3. **სადებეტო ბარათი - საბარათე ინსტრუმენტი**, რომელიც მის მფლობელს საშუალებას აძლევს **ბანკთან** გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე განკარგოს **საბარათე ანგარიშზე** არსებული ხელმისაწვდომი თანხები.
4. **საბარათე ოპერაცია - საბარათე ინსტრუმენტით** (მათ შორის ბარათის რეკვიზიტებით) გადახდის ან/და განაღდებას ოპერაცია.
5. **საბარათე ანგარიში - საბარათე ინსტრუმენტთან** დაკავშირებული საბანკო ანგარიშ(ებ)ი.
6. **ლოკალური საბარათე ოპერაცია - საბარათე ოპერაცია**, რომელიც სრულება/შესრულებულია **ბანკის**, ასევე სს ჯორჯიან ქარდის (საიდენტიფიკაციო ნომერი: 204396377) საგადახდო სისტემაში ჩართული საბარათე ინფრასტრუქტურის საშუალებით.
7. **საერთაშორისო საბარათე ოპერაცია - საბარათე ოპერაცია**, რომელიც სრულება/შესრულებულია **ბანკის** ან/და სს ჯორჯიან ქარდის (საიდენტიფიკაციო ნომერი: 204396377) საგადახდო სისტემის გარდა ნებისმიერი სხვა საბარათე ინფრასტრუქტურის საშუალებით (მათ შორის საქართველოს ტერიტორიაზე ან მის ფარგლებს გარეთ).
8. **რეფანდის (Refund) ოპერაცია - საბარათე ოპერაციის** საფუძველზე შეძენილი პროდუქტის (საქონლის ან/და მომსახურების) უკან დაბრუნების გამო **საბარათე ოპერაციის** თანხის სრულად ან ნაწილობრივ დაბრუნების ოპერაცია.
9. **რევერსალის (Reversal) ოპერაცია - საბარათე ოპერაციის** გაუქმების გამო **საბარათე ოპერაციის** თანხის სრულად ან ნაწილობრივ დაბრუნების ოპერაცია.
10. **ლოკალური საბარათე ოპერაციის** შემთხვევაში:
  - 10.1. მულტისავალუტო **საბარათე ანგარიშის** შემთხვევაში, როდესაც **საბარათე ოპერაცია** სრულდება **საბარათე ანგარიშის** ვალუტაში, მაგრამ **საბარათე ოპერაციის** ვალუტის შესაბამისი ვალუტის **საბარათე ანგარიშზე** არ არის საკმარისი რაოდენობის თანხა, **საბარათე ოპერაციის** თანხის ჩამოჭრა მთლიანად მაინც ხორციელდება აღნიშნული ანგარიშიდან, ხოლო დანაკლისი თანხის კონვერტირება განხორციელდება სხვა ვალუტის **საბარათე ანგარიშზე** არსებული თანხიდან, **საბარათე ოპერაციის** შესრულების დღეს, საბანკო დღის დახურვისას არსებული **ბანკის** კომერციული კურსით და შემდეგი ვალუტის პრიორიტეტულობის შესაბამისად: ლარი, აშშ დოლარი, ევრო და ბოლოს ფუნტი სტერლინგი, იმის გათვალისწინებით, რომ თავდაპირველი პრიორიტეტი არის ბარათის ძირითადი ვალუტა.
  - 10.2. მულტისავალუტო **საბარათე ანგარიშის** შემთხვევაში, როდესაც **საბარათე ოპერაცია** სრულდება **საბარათე ანგარიშის** ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში (არ არსებობს **საბარათე ანგარიში საბარათე ოპერაციის** ვალუტაში), მაშინ თანხის კონვერტაცია ხორციელდება სხვა ვალუტის **საბარათე ანგარიშზე** არსებული თანხიდან, **საბარათე ოპერაციის** შესრულების დღეს, საბანკო დღის დახურვისას, არსებული **ბანკის** კომერციული კურსით და შემდეგი ვალუტის პრიორიტეტულობის შესაბამისად: ლარი, აშშ დოლარი, ევრო და ბოლოს ფუნტი სტერლინგი, იმის გათვალისწინებით, რომ თავდაპირველი პრიორიტეტი არის ბარათის ძირითადი ვალუტა.

- 10.3. ერთვალუტიანი საბარათე ანგარიშის შემთხვევაში, თუ საბარათე ოპერაცია სრულდება საბარათე ანგარიშის ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში, საბარათე ანგარიშზე არსებული თანხა დაკონვერტირდება საბარათე ოპერაციის ვალუტაში შემდეგი პირობის შესაბამისად:
- 10.3.1. სადებეტო ბარათის შემთხვევაში - საბარათე ოპერაციის შესრულების მომენტში არსებული ბანკის კომერციული კურსით;
- 10.3.2. საკრედიტო ბარათის შემთხვევაში - საბარათე ანგარიშიდან თანხის ჩამოჭრის მომენტში არსებული ბანკის კომერციული კურსით.
- 10.4. რევერსალის (Reversal) ოპერაციის შესრულებისას საბარათე ანგარიშზე დაბრუნდება ზუსტად ის თანხა, რაც ჩამოიჭრა საბარათე ოპერაციის შესრულებისას.
- 10.5. რეფანდის (Refund) ოპერაციის შესრულებისას, ერთვალუტიანი საბარათე ანგარიშის შემთხვევაში, თანხის კონვერტაციის საჭიროებისას:
- 10.5.1. სადებეტო ბარათის შემთხვევაში, თანხა დაკონვერტირდება რეფანდის (Refund) ოპერაციის შესრულების მომენტში არსებული ბანკის კომერციული კურსით;
- 10.5.2. საკრედიტო ბარათის შემთხვევაში, თანხა დაკონვერტირდება თანხის ჩარიცხვის მომენტში არსებული ბანკის კომერციული კურსით.
- 10.6. საბარათე ინსტრუმენტით სარგებლობიდან გამომდინარე, ბანკის მიმართ წარმოშობილი დავალიანების დაფარვის შემთხვევაში, დავალიანების დაფარვის დროს თანხის კონვერტაციის საჭიროებისას, საბარათე ანგარიშიდან თანხა დაკონვერტირდება დავალიანების დაფარვის დღეს არსებული ბანკის კომერციული კურსით.
11. საერთაშორისო საბარათე ოპერაციის შემთხვევაში, როდესაც საერთაშორისო საბარათე ოპერაცია სრულდება VISA ან MasterCard საბარათე სქემაში ჩართული სადებეტო ბარათით:
- 11.1. როდესაც საბარათე ოპერაცია სრულდება საბარათე ანგარიშის ვალუტაში, მაგრამ საბარათე ოპერაციის ვალუტის შესაბამისი ვალუტის საბარათე ანგარიშზე განთავსებული თანხა არ არის საკმარისი, მაშინ თანხის კონვერტაცია ხორციელდება სხვა ვალუტის საბარათე ანგარიშზე არსებული თანხიდან საბარათე ოპერაციის შესრულების დღეს, საბანკო დღის დახურვისას არსებული ბანკის კომერციული კურსით და შემდეგი ვალუტის პრიორიტეტულობის შესაბამისად: ლარი, აშშ დოლარი, ევრო და ბოლოს ფუნტი სტერლინგი, იმის გათვალისწინებით, რომ თავდაპირველი პრიორიტეტი არის ბარათის ძირითადი ვალუტა;
- 11.2. თუ საბარათე ოპერაცია სრულდება საბარათე ანგარიშის ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში (არ არსებობს საბარათე ანგარიში საბარათე ოპერაციის ვალუტაში), მაშინ კონვერტაციის საფუძველზე საბარათე ოპერაციის შესრულება ხდება შემდეგი პირობის შესაბამისად:
- 11.2.1. თუ საბარათე ოპერაციის ვალუტა არის ევრო, მაშინ საბარათე ოპერაციის თანხა და ბანკის საკომისიოს სახით დამატებული საბარათე ოპერაციის თანხის 2% ჩამოიჭრება საბარათე ანგარიშიდან (ძირითადი ვალუტიდან, შესაბამისი ევროს ექვივალენტი), რომლის დროსაც კონვერტაცია ხორციელდება საბარათე ანგარიშიდან თანხის ჩამოჭრის მომენტში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური კურსით;
- 11.2.2. თუ საბარათე ოპერაციის ვალუტა არის ნებისმიერი სხვა ვალუტა გარდა ევროსი, მაშინ საბარათე ოპერაციის თანხის ექვივალენტს აშშ დოლარში\* (თუ საბარათე ოპერაციის ვალუტა არის აშშ დოლარი, მაშინ საბარათე ოპერაციის თანხას), ბანკის საკომისიოს სახით დამატებული აშშ დოლარში განსაზღვრული საბარათე ოპერაციის თანხის 2%, ჩამოიჭრება საბარათე ანგარიშიდან (ძირითადი ვალუტიდან, შესაბამისი აშშ დოლარის ექვივალენტი), რომლის დროსაც საჭიროების შემთხვევაში კონვერტაცია ხორციელდება საბარათე ანგარიშიდან თანხის ჩამოჭრის მომენტში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური კურსით.

- 11.2.3. წინამდებარე დოკუმენტის 11.2.1 და 11.2.2. პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევაში საბარათე ინსტრუმენტის ძირითად ვალუტაში საკმარისი თანხის არარსებობის შემთხვევაში, თანხის კონვერტაცია ხორციელდება სხვა ვალუტის საბარათე ანგარიშზე არსებული თანხიდან საბანკო დღის დახურვისას, არსებული ბანკის კომერციული კურსით და შემდეგი ვალუტის პრიორიტეტულობის შესაბამისად: ლარი, აშშ დოლარი, ევრო და ბოლოს ფუნტი სტერლინგი. ამასთან, საბარათე ანგარიშზე საკმარისი თანხის არარსებობის შემთხვევაში საბარათე ანგარიშიდან თანხა ჩამოიჭრება ოვერდრაფტის დაშვების ხარჯზე.
- 11.3. რევერსალის (Reversal) ოპერაციის შემთხვევაში თანხა ბრუნდება იმ ვალუტის საბარათე ანგარიშზე, რომლის მეშვეობითაც განხორციელდა საბარათე ოპერაცია. ამასთან:
- 11.3.1. თუ რევერსალის (Reversal) ოპერაცია სრულდება საბარათე ოპერაციის სრულ თანხაზე საბარათე ანგარიშზე დაბრუნდება ზუსტად ის თანხა, რაც ჩამოიჭრა საბარათე ოპერაციის შესრულებისას;
- 11.3.2. თუ რევერსალის (Reversal) ოპერაცია სრულდება საბარათე ოპერაციის ნაწილ თანხაზე, მაშინ რევერსალის (Reversal) ოპერაცია სრულდება საბარათე ოპერაციის შესრულებისას განხორციელებული კონვერტაციის პირობების უკუმიმართულებით, იმ განსხვავებით, რომ ასეთ შემთხვევაში კონვერტაციის საკომისიო დაბრუნებას არ ექვემდებარება.
- 11.4. რეფანდის (Refund) ოპერაციის შემთხვევაში, თუ რეფანდის (Refund) ოპერაცია სრულდება საბარათე ანგარიშის ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში (არ არსებობს საბარათე ანგარიში რეფანდის (Refund) ოპერაციის ვალუტაში), მაშინ:
- 11.4.1. თუ რეფანდის (Refund) ოპერაციის ვალუტა არის ევრო, მაშინ რეფანდის (Refund) ოპერაციის თანხას გამოკლებული ბანკის საკომისიო რეფანდის (Refund) ოპერაციის თანხის 2%, ჩაირიცხება საბარათე ანგარიშზე (ძირითადი ვალუტის ანგარიშზე, შესაბამისი ევროს ექვივალენტი), რომლის დროსაც კონვერტაცია ხორციელდება თანხის ჩაირიცხვის მომენტში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური კურსით.
- 11.4.2. თუ რეფანდის (Refund) ოპერაციის ვალუტა არის ნებისმიერი სხვა ვალუტაში გარდა ევროსი, მაშინ რეფანდის (Refund) ოპერაციის თანხის ექვივალენტს აშშ დოლარში\* (თუ რეფანდის (Refund) ოპერაციის ვალუტა არის აშშ დოლარი, მაშინ რეფანდის (Refund) ოპერაციის თანხას) გამოკლებული ბანკის საკომისიო აშშ დოლარში განსაზღვრული რეფანდის (Refund) ოპერაციის თანხის 2%, ჩაირიცხება საბარათე ანგარიშზე (ძირითადი ვალუტის ანგარიშზე, შესაბამისი აშშ დოლარის ექვივალენტი), რომლის დროსაც საჭიროების შემთხვევაში კონვერტაცია ხორციელდება თანხის ჩაირიცხვის მომენტში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური კურსით.
12. საერთაშორისო საბარათე ოპერაციის შემთხვევაში, როდესაც საერთაშორისო საბარათე ოპერაცია სრულდება VISA ან MasterCard საბარათე სქემაში ჩართული საკრედიტო ბარათით:
- 12.1. იმ შემთხვევაში თუ საბარათე ოპერაცია სრულდება საბარათე ანგარიშის ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში (არ არსებობს საბარათე ანგარიში საბარათე ოპერაციის ვალუტაში), მაშინ კონვერტაციის საფუძველზე, საბარათე ოპერაცია სრულდება შემდეგი პირობის შესაბამისად:
- 12.1.1. თუ საბარათე ოპერაციის ვალუტა არის ევრო, მაშინ საბარათე ოპერაციის თანხა ჩამოიჭრება საბარათე ანგარიშიდან (შესაბამისი ევროს ექვივალენტი), რომლის დროსაც კონვერტაცია განხორციელდება საბარათე ანგარიშიდან თანხის ჩამოჭრის მომენტში არსებული ბანკის კომერციული კურსით;
- 12.1.2. თუ საბარათე ოპერაციის ვალუტა არის ნებისმიერ სხვა ვალუტა გარდა ევროსი, მაშინ საბარათე ოპერაციის თანხის ექვივალენტი აშშ დოლარში\* (თუ საბარათე ოპერაციის ვალუტა არის აშშ დოლარი, მაშინ საბარათე ოპერაციის თანხა) ჩამოიჭრება საბარათე ანგარიშიდან, რომლის დროსაც საჭიროების შემთხვევაში კონვერტაცია განხორციელდება საბარათე ანგარიშიდან თანხის ჩამოჭრის მომენტში არსებული ბანკის კომერციული კურსით.
- შენიშვნა: ამ პუნქტის მიზნებისთვის Express Card მიიჩნება როგორც საკრედიტო ბარათი.

- 12.2. წინამდებარე დოკუმენტის 12.1. პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, საბარათე ანგარიშზე საკმარისი თანხის არარსებობის შემთხვევაში, საბარათე ანგარიშიდან თანხა ჩამოიჭრება ოვერდრაფტის დაშვების ხარჯზე.
- 12.3. რევერსალის (Reversal) ოპერაციის შემთხვევაში თანხა ბრუნდება საბარათე ანგარიშზე. ამასთან:
- 12.3.1. თუ რევერსალის (Reversal) ოპერაცია სრულდება საბარათე ოპერაციის სრულ თანხაზე საბარათე ანგარიშზე დაბრუნდება ზუსტად ის თანხა, რაც ჩამოიჭრა საბარათე ოპერაციის შესრულების დროს;
- 12.3.2. თუ რევერსალის (Reversal) ოპერაცია სრულდება საბარათე ოპერაციის ნაწილ თანხაზე, მაშინ რევერსალის (Reversal) ოპერაცია სრულდება საბარათე ოპერაციის შესრულებისას განხორციელებული კონვერტაციის პირობების უკუმიმართულებით, იმ განსხვავებით, რომ ასეთ შემთხვევაში კონვერტაციის საკომისიო დაბრუნებას არ ექვემდებარება.
- 12.4. თუ რეფანდის (Refund) ოპერაცია სრულდება საბარათე ანგარიშის ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში (არ არსებობს საბარათე ანგარიში რეფანდის (Refund) ოპერაციის ვალუტაში), მაშინ:
- 12.4.1. თუ რეფანდის (Refund) ოპერაციის ვალუტა არის ევრო, მაშინ რეფანდის (Refund) ოპერაციის თანხა ჩაირიცხება საბარათე ანგარიშზე (შესაბამისი ევროს ექვივალენტი), რომლის დროსაც კონვერტაცია ხორციელდება თანხის ჩაირიცხვის მომენტში არსებული ბანკის კომერციული კურსით.
- 12.4.2. თუ რეფანდის (Refund) ოპერაციის ვალუტა არის ნებისმიერი სხვა ვალუტა გარდა ევროსი, მაშინ რეფანდის (Refund) ოპერაციის თანხის ექვივალენტი აშშ დოლარში\* (თუ საბარათე ოპერაციის ვალუტა არის აშშ დოლარი, მაშინ რეფანდის (Refund) ოპერაციის თანხა) ჩაირიცხება საბარათე ანგარიშზე, რომლის დროსაც, საჭიროების შემთხვევაში, კონვერტაცია ხორციელდება თანხის ჩაირიცხვის მომენტში არსებული ბანკის კომერციული კურსით.
13. საერთაშორისო საბარათე ოპერაციის შემთხვევაში, როდესაც საერთაშორისო საბარათე ოპერაცია სრულდება American Express საბარათე სქემაში ჩართული სადებეტო ბარათით ან საკრედიტო ბარათით:
- 13.1. იმ შემთხვევაში თუ საბარათე ოპერაცია სრულდება საბარათე ანგარიშის ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში (არ არსებობს საბარათე ანგარიში საბარათე ოპერაციის ვალუტაში), მაშინ კონვერტაციის საფუძველზე, საბარათე ოპერაციის შესრულება შემდეგი პირობის შესაბამისად:
- 13.1.1. თუ საბარათე ოპერაციის ვალუტა არის აშშ დოლარი, მაშინ საბარათე ოპერაციის თანხას დამატებული ბანკის საკომისიო საბარათე ოპერაციის თანხის 2%, ჩამოიჭრება საბარათე ანგარიშიდან (შესაბამისი აშშ დოლარის ექვივალენტი), რომლის დროსაც კონვერტაცია ხორციელდება საბარათე ანგარიშიდან თანხის ჩამოჭრის მომენტში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური კურსით.
- 13.1.2. თუ საბარათე ოპერაციის ვალუტა არის ევრო და ის წარმოადგენს:
- 13.1.2.1. განაღდების ოპერაციას, მაშინ საბარათე ოპერაციის თანხას დამატებული ბანკის საკომისიო საბარათე ოპერაციის თანხის 2%, ჩამოიჭრება საბარათე ანგარიშიდან (შესაბამისი ევროს ექვივალენტი), რომლის დროსაც კონვერტაცია ხორციელდება საბარათე ანგარიშიდან თანხის ჩამოჭრის მომენტში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური კურსით.
- 13.1.2.2. გადახდის ოპერაციას, მაშინ საბარათე ოპერაციის თანხის ექვივალენტს აშშ დოლარში\*, დამატებული ბანკის საკომისიო აშშ დოლარში განსაზღვრული საბარათე ოპერაციის თანხის 1.2407% ჩამოიჭრება საბარათე ანგარიშიდან (შესაბამისი აშშ დოლარის ექვივალენტი), რომლის დროსაც კონვერტაცია ხორციელდება საბარათე ანგარიშიდან თანხის ჩამოჭრის მომენტში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური კურსით.
- 13.1.3. თუ საბარათე ოპერაციის ვალუტა არის ნებისმიერ ვალუტა გარდა აშშ დოლარისა ან ევროსი, მაშინ საბარათე ოპერაციის თანხის ექვივალენტს აშშ დოლარში\* დამატებული ბანკის საკომისიო აშშ დოლარში განსაზღვრული საბარათე ოპერაციის თანხის 1.2407%, ჩამოიჭრება საბარათე ანგარიშიდან (შესაბამისი აშშ

დოლარის ექვივალენტი), რომლის დროსაც საჭიროების შემთხვევაში კონვერტაცია ხორციელდება **საბარათე ანგარიშიდან** თანხის ჩამოჭრის მომენტში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური კურსით.

- 13.2. წინამდებარე **დოკუმენტის 13.1.1, 13.1.2. და 13.1.3. პუნქტებით** გათვალისწინებულ შემთხვევაში, **საბარათე ანგარიშზე** საკმარისი თანხის არარსებობის შემთხვევაში საბარათე ანგარიშიდან თანხა ჩამოიჭრება ოვერდრაფტის დაშვების ხარჯზე.
- 13.3. **რევერსალის (Reversal) ოპერაციის** შემთხვევაში თანხა ბრუნდება **საბარათე ანგარიშზე**. ამასთან:
  - 13.3.1. თუ **რევერსალის (Reversal) ოპერაცია** სრულდება **საბარათე ოპერაციის** სრულ თანხაზე **საბარათე ანგარიშზე** დაბრუნდება ზუსტად ის თანხა, რაც ჩამოიჭრა **საბარათე ოპერაციის** შესრულების დროს;
  - 13.3.2. თუ **რევერსალის (Reversal) ოპერაცია** სრულდება **საბარათე ოპერაციის** ნაწილ თანხაზე, მაშინ **რევერსალის (Reversal) ოპერაცია** სრულდება **საბარათე ოპერაციის** შესრულებისას განხორციელებული კონვერტაციის პირობების უკუმიმართულებით, იმ განსხვავებით, რომ ასეთ შემთხვევაში კონვერტაციის საკომისიო დაბრუნებას არ ექვემდებარე.
- 13.4. **რეფანდის (Refund) ოპერაციის** შემთხვევაში, თუ **რეფანდის (Refund) ოპერაცია** სრულდება **საბარათე ანგარიშის** ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში (არ არსებობს **საბარათე ანგარიში რეფანდის (Refund) ოპერაციის** ვალუტაში), მაშინ:
  - 13.4.1. თუ **რეფანდის (Refund) ოპერაციის** ვალუტა არის აშშ დოლარი, მაშინ **რეფანდის (Refund) ოპერაციის** თანხას გამოკლებული **ბანკის** საკომისიო **რეფანდის (Refund) ოპერაციის** თანხის 2%, ჩაირიცხება **საბარათე ანგარიშზე** (შესაბამისი აშშ დოლარის ექვივალენტი), რომლის დროსაც კონვერტაცია ხორციელდება თანხის ჩარიცხვის მომენტში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური კურსით.
  - 13.4.2. თუ **რეფანდის (Refund) ოპერაციის** ვალუტა არის ნებისმიერი ვალუტა გარდა აშშ დოლარისა, მაშინ **რეფანდის (Refund) ოპერაციის** თანხის ექვივალენტს აშშ დოლარში\* გამოკლებული **ბანკის** საკომისიო აშშ დოლარში განსაზღვრული **რეფანდის (Refund) ოპერაციის** თანხის 1.2407%, ჩაირიცხება **საბარათე ანგარიშზე** (შესაბამისი აშშ დოლარის ექვივალენტი), რომლის დროსაც საჭიროების შემთხვევაში კონვერტაცია ხორციელდება თანხის ჩარიცხვის მომენტში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური კურსით.

\*შენიშვნა: **საბარათე ოპერაციის** თანხის ექვივალენტის დადგენა ხდება საბარათე სქემის წესების შესაბამისად, რომლის კონვერტაციის კურსების შესახებ ინფორმაციაც მოცემულია შემდეგ ვებ-გვერდის მისამართზე:

VISA-ს შემთხვევაში: <https://usa.visa.com/support/consumer/travel-support/exchange-rate-calculator.html>;

MasterCard-ის შემთხვევაში: <https://www.mastercard.us/en-us/personal/get-support/convert-currency.html>;

American Express-ის შემთხვევაში: <https://bankofgeorgia.ge/ka/retail/cards#creditcards>;